საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სამცხე–ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება და ტექნიკური დავალება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ახალციხე
2011 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

საკონკურსო განცხადება 3

ტექნიკური დავალება..... 6

ხელშეკრულების პროექტი..... 7

საკადასტრო ნახაზები..... 11

საკონკურსო განცხადება

1. შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკის და განძის, ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებთან მიმდებარე, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3000.00 (სამი ათასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 21 ივნისს.

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 24 ივნისს 17:00 საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 24 ივნისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა #91, IV სართული, ოთახი #414

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

14. დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

15. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით)
- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია, ესკიზი, განმარტებითი ბარათი;
- ინფორმაცია მსგავსი საქმიანობის გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია მომსახურების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები;

16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.6
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2
- მომსახურების გაწევის ვადები: კოეფიციენტი – 0.2

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 10 დღეში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები დამხმარე ნაგებობების განლაგებასთან და მათ ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

22. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

24. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: პეტრე ფარცახაშვილი, ტელეფონი 8(77)967921, 8(77)526606, ნინო კაპანაძე, ტელეფონი 8(77)539503.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკის და განძის, ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებთან მიმდებარე, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის პროექტისაგან.

საპროექტო სამუშაოების საანგარიშო ფართი:

შსს განძის განყოფილება:
სოფელი განძა – მიწის ნაკვეთი – 1083.33 კვ.მ., შენობა–ნაგებობის საერთო ფართი –129.79 კვ.მ. ;

შსს გორელოვკის განყოფილება:
სოფელი გორელოვკა – მიწის ნაკვეთი – 1115.64 კვ.მ., შენობა–ნაგებობის საერთო ფართი –129.79 კვ.მ. ;

შსს ბარალეთის განყოფილება:
სოფელი კოთელია – მიწის ნაკვეთი – 1073.09 კვ.მ., შენობა–ნაგებობის საერთო ფართი –154.04 კვ.მ. ;

> შენიშვნა: შენობა–ნაგებობების ვიზუალური მხარის, საკომუნიკაციო ქსელების და სხვა სისტემების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შესყიდვების სააგენტოს ვებგერდზე #SPA110001361 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში.

საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. საქვაბე გათბობის ქვაბის კომპლექტით შენობის გათბობის სისტემასთან ჩართვით;
2. რკინის ღობე შლაგბაუმით, განათებით;
3. ტერიტორიის მოასფალტება;
4. კომუნიკაციების (ელექტრომომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგების) სისტემების შეერთება შენობასთან;
5. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა;

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.
იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.
პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(პროექტი)

ქ. ახალციხე „___“ „ _____“ 2011 წელი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო,

ერთის მხრივ შსს სამცხე–ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს (მისამართი: ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ. #91, ს/კ 224072606, ს.ს. სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი 7070, ტელეფონი 8(77)526606, 8(77)527090) (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“)
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

- შემსყიდველმა კონკურსის საშუალებით გამოაცხადა სახელმწიფო შესყიდვა შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკის და განძის, ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებთან მიმდებარე, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის არქიტექტურული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე (71200000 – CPV) რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა _____

- ხელშეკრულების სავარაუდო ფასია _____ ლარი, (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

- ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი;

გ) ტექნიკური დავალება.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 მომსახურების, საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ტექნიკური დავალების შესაბამისად

5.4 მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2011 წლის „_____“ „_____“ ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიური მოწოდებული საქონლის შესაბამისად.

7. ანგარიშსწორება

7.1 შემსყიდველი მიმწოდებელს საქონლის ღირებულებას აუნაზღაურებს ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში - მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

7.2 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებით შედგენილი საგადასახადო დოკუმენტი.

7.3 ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სამცხე–ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიერ მიერ.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

8.2 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომელთა შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9. გადასახადები და დაბეგვრა

9.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

9.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და
არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (ასეთის არსებობის შეთხვევაში და/ან სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ს.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესაბამისი მომსახურება.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის „____“ „_____“ 2011 „____“ „_____“.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს
აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
_____	_____

მიწის ნაკვეთების და შენობების საკადასტრო აზომვითი ნახაზი